დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის №308 ბრძანებით;

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 9 თებერვლის № 701, 2022 წლის 29 ნოემბრის №139457, 2025 წლის 12 დეკემბრის

№ 102234 ბრძანებებით

საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი

2020

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/რეცენზენტი 3

მუხლი 3. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძვანელის და ნაშრომის/პროქტის შერჩევისა და დამტკიცების წესი 4

მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება 5

მუხლი 5. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისია 6

მუხლი 6. აპელაცია 7

მუხლი 7. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის გაფორმების წესი 8

დანართი 1. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის მიერ შეფასების ფორმა 11

დანართი 2. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის რეცენზენტის მიერ შეფასების ფორმა 12

დანართი 3. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის კომისიის მიერ შეფასების ფორმა 13

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი წარმოადგენს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ შესრულებულ ნაშრომს/პროექტს, რომელიც აჯამებს სტუდენტის დამოუკიდებლად წერის უნარებს, სტუდენტის მიერ მასალების მოძიების, საკითხის წარმოჩენის, მასალებთან მუშაობისა და წყაროების მითითებით ტექსტის მომზადების, გაფორმების, საჯაროდ წარდგენისა და დაცვის უნარებს;

2. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი სრულდება წინამდებარე წესით დადგენილი ზოგადი მოთხოვნებისა და შესაბამისი პროგრამის საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სილაბუსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაცვით;

3. საბაკალავრო ნაშრომს/პროექტს სტუდენტი ასრულებს ინდივიდუალურად, საბაკალავრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით;

4. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვას სტუდენტი ახდენს დეკანის წარდგინების საფუძვლეზე ევროპის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე.

მუხლი 2. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/რეცენზენტი

1. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი - ხელმძღვანელობს სტუდენტის მუშაობას, ეხმარება მას ნაშრომის/პროექტის თემატიკის შემუშავებასა და ჩამოყალიბებაში, წყაროების შერჩევაში, პრობლემის ჩამოყალიბებაში, შეკითხვებისა და ჰიპოთეზების ფორმირებაში, აძლევს ზოგად მითითებებს დარგის აქტუალური გამოწვევებისა და შესაბამისი მიმართულებით სამუშაოს განხორციელების თაობაზე. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი აფასებს სტუდენტის მიერ შესრულებულ ნაშრომს/პროექტს და განსაზღვრავს შესრულებული ნაშრომის/პროექტის რეცენზენტისთვის შესაფასებლად გადაცემის საკითხს;

2. სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შესრულებისთვის შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს ნაშრომის/პროექტის თემატიკის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი/პრაქტიკული გამოცდილება;

3. ერთი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ შესაძლებელია ერთდროულად მაქსიმუმ 5 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა.

4. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს:

ა) ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი;

ბ) მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცალკეული პროგრამის ფარგლებში საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელად შეიძლება დაშვებულ იქნას პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

4. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის რეცენზენტი - ეცნობა შესრულებულ საბაკალავრო ნაშრომს/პროექტს, წერს დასკვნას ნაშრომის ტექნიკური და შინაარსობრივი შესრულების თაობაზე და აფასებს სტუდენტის მიერ შესრულებულ ნაშრომს/პროექტს;

5. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის რეცენზირების მიზნით ინიშნება ერთი რეცენზენტი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება;

6. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის რეცენზენტი შეიძლება იყოს:

ა) ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი;

ბ) მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია რეცენზენტად დაშვებულ იქნას პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

მუხლი 3. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძვანელის და ნაშრომის/პროექტის შერჩევისა და დამტკიცების წესი

1. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის არჩევა ხდება სტუდენტის მიერ. ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო;

2. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შერჩევა ხორციელდება სტუდენტის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელთან შეთანხმებით;

3. შერჩეულ საბაკალავრო ნაშრომს/პროექტს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო აკადემიური კალენდრით განსაზღვრული სალექციო პერიოდის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სათაურის დაზუსტება შესაძლებელია აკადემიური კალენდრით განსაზღვრული სალექციო პერიოდის დაწყებიდან არაუგვიანეს ხუთი კვირისა. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაზუსტებული სათაურის დამტკიცება ხდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ;

4. ფაკულტეტის დეკანის მიერ საკითხის ინიცირების საფუძველზე, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის რეცენზენტს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება

1. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი კომპონენტის წარმატებით შესრულების შემთხვევაში, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასების (51-100 ქულა) მიღებით, სტუდენტს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისიწინებული კრედიტი საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კომპონენტში.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა უფლება გადამუშავებული საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი წარადგინოს დამატებითი გამოცდებისთვის განსაზრულ ვადებში;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და აღნიშნული შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს იგივე საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წარდგენის უფლებას.

4. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წარდგენა ხდება იმავე სემესტრში, როცა მიმდინარეობს მასზე მუშაობა.

5. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შუალედური შეფასება მოიცავს ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის და რეცენზენტის შეფასებებს, ხოლო დასკვნითი შეფასება გულისხმობს დაცვის კომისიის შეფასებას. იმ შემთხვევაში, თუ საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კომპონენტისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათები ითვალისწინებს სალექციო მუშაობის საათებს, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შუალედური შეფასება შესაძლებელია მოიცავდეს სალექციო საათების წამყვანი ლექტორის შეფასებასაც.

6. შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტებსა და კრიტერიუმებს შორის ქულათა განაწილება განისაზღვრება საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სილაბუსით.

7. დასრულებული საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი წარედგინება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს დასკვნის წარმოდგენის მიზნით არაუგვიანეს მე-15 კვირისა.

8. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი აფასებს ნაშრომის შესრულებას და განსაზღვრავს ნაშრომის რეცენზენტისთვის გადაცემის საკითხს (დანართი 1) არაუგვიანეს მე-16 კვირისა.

9. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ნაშრომს/პროექტს რეცენზენტისთვის წარდგენამდე ამოწმებს პლაგიატზე.

10. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი მოწმდება ელექტრონული პროგრამის Turnitin-ის საშუალებით.

11. ხელმძღვანელი უფლებამოსილია პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ერთხელ დაუბრუნოს ავტორს ნაშრომი/პროექტი და მისცეს რეკომენდაციები.

12. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის საბოლოო ვერსიაში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტს ერთმევა იმავე ნაშრომის გადამუშავების და წარდგენის უფლება.

13. ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ნაშრომი გადაეცემა რეცენზენტს შეფასების მიზნით (დანართი 2). რეცენზენტი წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას არაუგვიანეს მე-17 კვირისა.

14. რეცენზენტისა და ხელმძღვანელის შეფასებათა ჯამი ითვლება საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შუალედურ შეფასებად და სტუდენტის მიერ შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში, საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი დასკვნითი შეფასების მიზნით დაიშვება დაცვის კომისიის წინაშე ნაშრომის/პროექტის საჯარო დაცვაზე.

მუხლი 5. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისია

1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე (დანართი 3);

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები (არანაკლებ 3 და არა უმეტეს 7 წევრი), კომისიის წევრი შეიძლება იყოს მოწვეული სპეციალისტი. კომისიის

შემადგენლობა ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე მტკიცდება რექტორის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;

3. კომისია უფლებამოსილია, თუ შესაბამისი საბაკალავრო ნაშრომის დაცვას ესწრება კომისიის შემადგენლობის 2/3 მაინც;

4. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს შესაბამისი საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი;

5. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვა არის საჯარო. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვას უნდა ესწრებოდეს შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

6. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის შედეგები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;

7. კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს რამდენიმე საბაკალავრო ნაშრომის დაცვა;

8 საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტს შესაბამის კომპონენტებში აფასებს კომისიის თითოეული წევრი დაცვის დასრულებისთანავე, საბოლოო შეფასება კი გამოითვლება თითოეული კომისიის შეფასების საშუალო არითმეტიკულით;

9. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება ეცნობება სტუდენტს არაუგვიანეს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღისა.

მუხლი 6. აპელაცია

1. სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასების გაცნობიდან არაუგვიანეს 5 დღისა უფლებამოსილია შეიტანოს აპელაციაზე განაცხადი შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით;

2. სტუდენტი ვალდებულია განაცხადში მიუთითოს შეფასების რომელ კრიტერიუმში/კომპონენტში არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას;

3. სააპელაციო კომისიის მიერ საკითხის განხილვის პროცესსზე დაწრების უფლებამოსილება გააჩნია საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს, საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელსა და გასაჩივრებული კომპონენტის შეფასებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებით;

4. სააპელაციო განაცხადის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით რექტორი ქმნის სააპელაციო კომისიას, განსაზღვრავს თავმჯდომარეს და მდივანს;

5. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 პირისა. კომისიის ყველა წევრი უნდა ესწრებოდეს სხდომას;

6. სააპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს:

ა) დეკანი;

ბ) შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი;

გ) საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი;

დ) საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის რეცენზენტი

ე) საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის კომისიის წევრი;

7. სააპელაციო კომისია იღებს შემდეგი ტიპის გადაწყვეტილებას:

ა) პროექტის/ნაშრომის საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიაზე დაბრუნების და ხელახალი განხილვის შესახებ;

ბ) მიღებული შეფასების დატოვების შესახებ;

გ) დაუსაბუთებელი განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში სააპელაციო განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

8. სააპელაციო კომისია ვალდებულია დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით.

9. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება არაუგვიანეს 5 დღის ვაადში უნდა ეცნობოს სტუდენტს.

მუხლი 7. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის გაფორმების წესი

1. საბაკალავრო ნაშრომის აუცილებელი კომპონენტებია

ა) სატიტულო ფურცელი;

ბ) ხელმოწერის გვერდი;

გ) ანოტაცია;

დ) სარჩევი;

ე) შესავალი ნაწილი, რომელშიც მოცემული იქნება კვლევის საგანი, საკვლევი პრობლემა, საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზანი, საკვლევი შეკითხვები, გამოყენებული კვლევის

მეთოდოლოგია და მეთოდები, ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება, ნაშრომის სტრუქტურის აღწერა;

ვ) ლიტერატურის მიმოხილვა, სადაც გაანალიზებულია კვლევის საგანთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურა, რის საფუძვლეზეც შესწავლილი და გაანალიზებულია კვლევის საგნათან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა და გამოკვეთილია საკვლევი პრობლემა და საკვლევი შეკითხვები;

ზ) ძირითადი ნაწილი, რომელშიც აღწერილია სტუდენტის მიერ განხორციელებული სამუშაო, შესრულებული სამუშაოს შედეგები და ანალიზი;

თ) დასკვნა, რომელშიც პასუხი გაეცემა შესავალში დასახულ საკვლევ შეკითხვებს, შესრულებული სამუშაოს შედეგების ანალიზიდან გამომდინარე ჩამოყალიბდება დასკვნები და რეკომენდაციები;

ი) ბიბლიოგრაფია.

2. საბაკალავრო ნაშრომს თან ერთვის:

ა) ხელმძღვანელის დასკვნა;

ბ) ელექტრონული პროგრამის Turnitin-ის დასკვნა თანხვედრის შესახებ;

გ) რეცენზენტის დასკვნა.

3. სატიტულო ფურცელი წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის პირველ გვერდს და იგი უნდა შეივსოს მკაცრად განსაზღვრული წესის მიხედვით:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება;

ბ) სტუდენტის სახელი და გვარი სრულად, სახელობით ბრუნვაში;

გ) საბაკალავრო ნაშრომის დასახელება;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის სრული დასახელება;

ე) საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სტატუსი (აკადემიური თანამდებობა თუ მოწვეული პერსონალის სტატუსი);

ვ) საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ადგილი და მისი შესრულების წელი.

4. ანოტაცია წარმადგენს საბაკალავრო ნაშრომის მოკლე მიმოხილვას და იგი მოიცავს ინფორმაციას კვლევის მიზანის, საკვლევი პრობლემის და სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგებისა და დასკვნების შესახებ; ანოტაციის ძირითადი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას და წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

5. სარჩევში უნდა აისახოს საბაკალავრო ნაშრომის თავებისა და ქვეთავების დასახელება გვერდების მითითებით.

6. საბაკალავრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმება:

ა) საბაკალავრო ნაშრომის ტექსტი წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე. შრიფტი: Sylfaen; შრიფტის ზომა: 12; სტრიქონებს შორის მანძილი: 1,5 ინტერვალი; ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხენა - 3 სმ, მარჯვენა-1 სმ, ზემოთ- 2,5 სმ, ქვემოთ - 2,5 სმ; ნაშრომის მოცულობა-არანაკლებ 25 და არაუმეტეს 50 გვერდისა.

ბ) საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და ქვეთავებად.

გ) ლიტერატურის მიმოხილვაში გამოყენებულ უნდა იქნეს თანამედროვე მასალა. აუცილებელია გამოყენებული წყაროების მითითება. წყაროების მითითების მიზნით ციტირებისა და რეფერირებისთვის გამოიყენება APA სტილი.

7. ბიბლიოგრაფიაში უნდა აისახოს სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული ლიტერატურისა თუ წყაროების ნუსხა. საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს. გამოყენებული ლიტერატურის მითითებისას გამყენებული უნდა იქნას APA სტილი.

დანართი 1. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის მიერ შეფასების ფორმა

სტუდენტის სახელი და გვარი_____

ხელმძღვანელის სტატუსი, სახელი და გვარი _____

საბაკალავრო ნაშრომის სათაური_____

აკადემიური წელი _____

#	შეფასების კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმი	შეფასება
1.	*განისაზღვრება საბაკლავრო ნაშრომის/პროექტის სილაბუსით*	*განისაზღვრება საბაკლავრო ნაშრომის/პროექტის სილაბუსით*	*ქულა განისაზღვრება საბაკლავრო ნაშრომის/პროექტის სილაბუსით*
2.			
3.			
...			
		საბოლოო შეფასება	

შესრულებული სამუშაოს ვერბალური შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გარდა დამეტებითი კომენტარების არსებობის შემთხვევაში.

ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების შედეგები:

□ საბაკალავრო ნაშრომში/პროექტში აღმოჩენილია პლაგიატი

□ საბაკალავრო ნაშრომში/პროექტში არ არის აღმოჩენილი პლაგიატი

საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის საბოლოო დასკვნა

□ საბაკალავრო ნაშრომის/პროექტი გადაეცეს რეცენზენტს შესაფასებლად

□ საბაკალავრო ნაშრომის/პროექტი დაუბრუნდეს სტუდენტს დასამუშავებლად

□ სტუდენტს ჩამოერთვას ნაშრომის გადამუშავებისა და წარდგენის უფლება

თარიღი:

ხელმძღვანელის ხელმოწერა:

დანართი 2. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის რეცენზენტის მიერ შეფასების ფორმა

სტუდენტის სახელი და გვარი_____

რეცენზენტის სახელი და გვარი _____

საბაკალავრო ნაშრომის სათაური_____

აკადემიური წელი _____

#	შეფასების კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმი	შეფასება
1.	*განისაზღვრება საბაკლავრო ნაშრომის/პროექტის სილაბუსით*	*განისაზღვრება საბაკლავრო ნაშრომის/პროექტის სილაბუსით*	*ქულა განისაზღვრება საბაკლავრო ნაშრომის/პროექტის სილაბუსით*
2.			
3.			
4.			
5.			
...			
		საბოლოო შეფასება	

შესრულებული სამუშაოს ვერბალური შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გარდა დამეტებითი კომენტარების არსებობის შემთხვევაში.

თარიღი:

რეცენზენტის ხელმოწერა:

დანართი 3. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის კომისიის მიერ შეფასების ფორმა

სტუდენტის სახელი და გვარი_____

კომისიის წევრის სახელი და გვარი _____

საბაკალავრო ნაშრომის სათაური_____

აკადემიური წელი _____

#	შეფასების კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმი	შეფასება
1.	*განისაზღვრება საბაკლავრო ნაშრომის/პროექტის სილაბუსით*	*განისაზღვრება საბაკლავრო ნაშრომის/პროექტის სილაბუსით*	*ქულა განისაზღვრება საბაკლავრო ნაშრომის/პროექტის სილაბუსით*
2.			
3.			
4.			
5.			
6.			
7.			
...			
		საბოლოო შეფასება	

თარიღი:

კომისიის წევრის ხელმოწერა: